ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

თბილისი 0114, თავისუფლების მოედანი 2, ტელ: +995 (32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge
FREEDOM SQUARE 2, 0114 TBILISI, GEORGIA; TEL: +995(32) 2 15 92 92; www.sakrebulo.ge

№ 06/4810
5219
18597

„02" დეკემბერი 2017 წ.

მოქ: ნოდარ ხითარიშვილს

მის.: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა N31, ბინა 16

ბატონო ნოდარ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი, 2016 წლის 14 მარტის 06/4810, 2016 წლის 18 მარტის N5219 და 2016 წლის 2 ნოემბრის N18597 განცხადება.

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 25 ივლისს N272 განკარგულების მიხედვით, ქ. თბილისში, ვაკის და საბურთალოს რაიონებში, გიგო გაბაშვილის და მიხეილ თამარაშვილის ქუჩებს მიენიჭა მიხეილ თამარაშვილის გამზირის სახელი.

„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შენობა-ნაგებობის ნუმერაციის წარმოშობის მოთხოვნით უნდა მიმართოთ იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო სამსახურს.

გიგზავნით განკარგულებას თანდართული რუკით.

დანართი: 2(ორი) ფურცელი.

პატივისცემით,
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განკარგულება № 272

„25" ივლისი 2017 წ

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, ვაკის და საბურთალოს რაიონებში, გიგო გაბაშვილის და მიხეილ თამარაშვილის ქუჩებისთვის მიხეილ თამარაშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ვაკის და საბურთალოს რაიონებში გიგო გაბაშვილის და მიხეილ თამარაშვილის ქუჩებს მიენიჭოს მიხეილ თამარაშვილის გამზირის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი



მიხეილ თამარაშვილის
გამზირი